



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 106



2016 წლის 7 ნოემბერი

ხაშური

## ხაშურის მუნიციპალიტეტსა და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შორის 2012 წლის 26 მარტს გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2016 წლის 17 ოქტომბერს შემოვიდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს № 01/277236 მომართვა, რომლითაც მოთხოვნილია ხაშურის მუნიციპალიტეტსა და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შორის დადებული 2016 წლის 26 მარტის აღნაგობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება 30 წლით (2047 წლის 1 იანვრამდე). აღნიშნული ხელშეკრულებით სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2016 წლის 31 დეკემბრამდე გადაეცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს.კ 69.02.66.092), სადაც განთავსებულია საზოგადოებრივი ცენტრი. საზოგადოებრივ ცენტრში მოსახლეობას საშუალება აქვს ისარგებლოს: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, სსიპ საქართველოს სახელმწიფო ეროვნული არქივის, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ და შპს „მექანიზატორის“ სერვისებით. ხელშეკრულების ვადის გაგრძელება უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და ხარისხიანი სერვისის მიწოდებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს № 01/277236 მომართვის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხაშურის მუნიციპალიტეტსა და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შორის 2012 წლის 26 მარტს გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე 2047 წლის 1 იანვრამდე.
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე